საქართველოს კანონი

„არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 32) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სახელმწიფო კომისიის მიერ პირის ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩენილი პირების ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, სოციალურად დაუცველი სხვა პირების მოვლა-პატრონობაში ჩაბმა ამ პირის მიერ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლად მიიჩნევა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

26 ივნისი 2025 წ.

N853-IIმს-XIმპ